პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 15 (20661) — ხუთშაბათი, 18 იანვარი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

16 იანვარს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მესამე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. მიღებულია გადაწყვეტილება სესია მოიწვიონ 1990 წლის 14 თებერვალს. ბრძანებულება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მოწვევის შესახებ პრესაში ქვეყნდება. მოიწონეს წინადადებანი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად შესატანი საკითხების შესახებ.

სესიაზე უნდა განიხილონ ფართო წრის საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების საკანონმდებლო მხარეებს. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ უზენაეს საბჭოს დაავალა დააჩქაროს მთელი რიგი კანონების მიღება, რომელთა მიზანია ეკონომიკური რეფორმის განხორციელება, საბჭოთა ფედერაციის შემდგომი სრულყოფა, მართლწესრიგის განმტკიცება. ამიტომ სესიაზე უწინარეს ყოვლისა ვარაუდობენ განიხილონ და მიიღონ კანონები, რომელთა მიზანია მთელი ეკონომიკური ბაზისის გარდაქმნა, ეს არის კანონები სსრ კავშირში საკუთრების, მიწის, სოგადასახადო სისტემის, სსრ კავშირში ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ.

ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თვალთახედვის არეში იქნება აგრეთვე სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯნასთან და მათი სუვერენიტეტის განმტკიცებასთან, საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს ფარგლებში ერთა და ეროვნებათა თავისუფალ განვითარებასთან დაკავშირებული კანონპროექტების პაკეტი. დასახულია უზენაესი საბჭოს განსახილველად შეიტანონ კანონპროექტები მოქალაქეთა სასენსო უზრუნველყოფის, შვებულებების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ, რომლებიც საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა. დიდი ყურადღება ეთმობა კანონთა პროექტებს, რომელთა მიზანია დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავება, მოქალაქეთა გარანტიების, უფლებებისა და ინტერესების განმტკიცება, სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. লუკიანოვის მოხსენების გამო განიხილეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის ორგანიზაციის საკითხი. პრეზიდიუმმა მოიწონა ეს წინადადებანი და შეიტანა ისინი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს განსახილველად.

მთავრობის წარდგინებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, რომ ესტონეთისა და ლატვის სს რესპუბლიკების ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი არ შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს. ინფორმაციაში, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ბირიუკოვამ გააკეთა, აღნიშნულია, რომ გასული წლის ნოემბერში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ „ლიტვის სსრ, ლატვის სსრ და ესტონეთის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპად გათვალისწინებულია სსრ კავშირის დადგენილ ფუნქციებთან რესპუბლიკათა ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეხამება და რესპუბლიკების ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელება სსრ კავშირის კანონების ფარგლებში. მაგრამ უკვე 1989 წლის დეკემბერში ესტონეთის სსრ და ლიტვის სსრ უზენაესმა საბჭოებმა მიიღეს კანონები და დადგენილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება საკავშირო კანონმდებლობის მოთხოვნებს.

თავისი საკანონმდებლო აქტებით ესტონეთის სსრ უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიჭრა „სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-15 მუხლის შესრულება და საკავშირო კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ არსებითად გააუქმა დასახადებისა და შემოსავლის გაყოფა საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ გადასახადებად და შემოსავლად, ყველა ისინი უკლებლივ განსაზღვრა როგორც რესპუბლიკური.

ლატვის სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 7 დეკემბრის დადგენილებით შეჩერებულია ლატვის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებათა ზოგიერთი პუნქტის მოქმედება, რომლებიც ეხება სახელმწიფო საწარმოების (გაერთიანებების) შრომის ანაზღაურების ფონდის დაბეგვრას, იმ სახსრების მატების რეგულირების ღონისძიებებს, რომლებსაც შრომის ანაზღაურებას ახმარენ წარმოებისა და მომსახურების სფეროების კოოპერატივები, მოიჯარეთა ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებრივ-ორგანიზაციათა საწარმოები.

„ლატვის სსრ 1990 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ ლატვის სსრ კანონში შეჩერებულია სსრ კავშირის მთავრობის 1988 წლის 26 მარტისა და 1988 წლის 30 სექტემბრის დადგენილებათა მთელი რიგი პუნქტების მოქმედება.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ ზოგიერთი სოციალური ღონისძიების დაფინანსების დამატებითი წყაროების განხილვის დროს უარყო წინადადება ყოველდღიური მოთხოვნის მთელი რიგი საქონლის, მათ შორის სპირტიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის ფასების მომატების შესახებ. მაგრამ ესტონეთის სსრ უზენაესმა საბჭომ რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით თავის კანონში „ესტონეთის სსრ 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ გაითვალისწინა ამ საქონლის, საცალო ფასების დანამატების დაწესება, თუმცა ეს სსრ კავშირის კომპეტენციაში შედის (სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლი). ასეთი გადაწყვეტილება ირღვევს სსრ კავშირის ტერიტორიაზე ფასების პოლიტიკის ერთიანობას, იწვევს სამომხმარებლო ბაზრის დესტაბილიზაციას, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა გუნება-განწყობილებაზე.

ლიტვის სსრ უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 4 დეკემბერს მიიღო კანონი მომუშავე პენსიონერებისათვის მოხუცებულობის გამო პენსიათა სრული ოდენობით გადახდის შესახებ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯზე, თუმცა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის 1990 წლის ბიუჯეტი ისედაც ჩამოყალიბებულია 24,7 მილიარდი მანეთის ოდენობით შემოსავალზე გასავლის გადამეტებით, რაც იფარება საკავშირო ბიუჯეტიდან დოტაციის გზით. ბუნებრივია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება გამოიწვევს საკავშირო ბიუჯეტის სახსრების დამატებით გამოყენებას რესპუბლიკის საჭიროებებისათვის და ამიტომ იგი არ განეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას. ეს რესპუბლიკური ორგანოები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტებს, ძირს უთხრის ფულის მიმოქცევის გაუმჯობესებისა და სამომხმარებლო ბაზრის განმტკიცების იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებსაც მხარი დაუჭირა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ესტონეთის სსრ და ლიტვის სსრ საკანონმდებლო აქტების ეს ნორმები სსრ კავშირის კონსტიტუციის 74-ე და 173-ე მუხლების ძალით ვერ იმოქმედებენ ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რადგან ეწინააღმდეგებიან საკავშირო კონსტიტუციის ნორმებსა და სსრ კავშირის კანონებს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ესტონეთის სსრ და ლიტვის სსრ უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმებს წინადადება მიეცათ დადგენილი წესით განახორციელონ ღონისძიებანი, რათა რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტები შეუსაბამონ სსრ კავშირის კონსტიტუციასა და სსრ კავშირის კანონებს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სსრ კავშირის მოქალაქეობა აღუდგინეს მ. ლ. როსტროპოვიჩსა და გ. პ. ვიშნევსკაიას. იმავე დროს ძალადაკარგულად ცნეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მათთვის სახელმწიფო ჯილდოებისა და სსრ კავშირის სახალხო არტისტების, საპატიო წოდებათა ჩამორთმევის შესახებ.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქვეყნის სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

(საკდესი).

სახალხო მეურნეობა

ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარების მთავრობის პროგრამას მხარი დაუჭირა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობამ. უნდა განხორციელდეს ეკონომიკური მანევრი კრიზისული მდგომარეობიდან სახალხო მეურნეობის გამოყვანისათვის და მიეჩიოს მას დინამიკურობა.

დეპუტატთა მრავალი წინადადების შესაბამისად გადაწყვეტილია, რომ 1990 წელს შემუშავდეს ბანკის, საინვესტიციო საქმიანობის, შრომისა და დასაქმების შესახებ კანონები სბანკო სისტემა და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საჭიროა ეკონომიკური რეფორმისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

ეკონომიკური და ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის შემუშავებაში, ცხადია, ჩვენი რესპუბლიკაც მონაწილეობდა და შეიტანა კიდეც სათანადო წინადადებები. მათი ამოსავალი წერტილი ის არის, რომ სანამ არსებობს პროდუქციის წარმოებისა და მოსახლეობის შობარაგების სახელმწიფო გეგმა, მეურნეობის მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე გადაყვანის და საბაზრო ურთიერთობის დანერგვის მექანიზმზე ლაპარაკი ნაადრეადაა. ამიტომ ამ ეტაპზე ყველა გათვალისწინებული ღონისძიების რესურსებით უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ გეგმიანი **გზით.**

აუცილებელია გავითვალისწინოთ, მაგალითად ის ფაქტი, რომ ფინანსური სისტემის მოშლის, ფულის მიმოქცევის „ავადმყოფობასთან“ დაკავშირებული პროცესი, საკრედიტო რესურსებსა და მათი საჭიროებით უზრუნველყოფას შორის შეუსაბამობა დიდი ხანია დაიწყო. ეს პრობლემები გასული ხუთწლეულის შანძილზე იყრიდა თავს და მხოლოდ ახლა, როცა ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება ვცადეთ, გამოჩნდა ისინი მთელი სისრულით. საწარმოების მიერ გამომუშავებული სახსრების დაგროვების კვალობაზე გამწვავდა საკრედიტო ბაზრის ურთიერთობის პრობლემაც.

ჰოდა, ეკონომიკის ძველი ავადმყოფობის გამწვავება ბევრს არ მოსწონს და სურვილი უჩნდება მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებს დაუბრუნდეს. რას იზამ, ახლანდელ მოთხოვნათა შესაბამისი მექანიზმის ერთბაშად შემუშავება და ამოქმედება არ არის ადვილი, მას დრო დასჭირდება. მისი დანერგვის პროცესში, ალბათ, კიდევ იქნება შეცდომები, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი და ამის გამო გაუთავებელი წუწუნიც საქმეს ვერ წაადგება. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

ეკონომიკის გაჯანსაღებისა და განვითარების თაობაზე მთავრობის ზემოხსენებული პროგრამა მოიცავს მომავალ ექვს წელიწადს. ამავე პერიოდში გამოყოფილია ორი ეტაპი — 1990-1992 წლები და 1993-1995 წლები. პირველ ეტაპზე აუცილებელია განხორციელდეს საგანგებო ღონისძიებათა კომპლექსი, რათა დავძლიოთ ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, ბიუჯეტის დეფიციტი და სამომხმარებლო ბაზრის წონასწორობის ძირეული მოშლა. აქ მოქმედებს როგორც მკაცრი დირექტიული ღონისძიებანი, ისე გაძლიერებული ეკონომიკური ბერკეტები. ერთდროულად გამოიყენებენ მმართველობის დირექტიულ მეთოდებს და თანდათან დაიწყება საბაზრო ურთიერთობის განვითარება. მმართულებით დაისახა, ვერ შესრულდა, მოცულობა შეამცირა რესპუბლიკის საწარმოთა და გაერთიანებათა დიდმა ნაწილმა და დანაკლისმა ფულად გამოხატულებაში, 1988 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ასობით მილიონი მანეთი შეადგინა. პროცენტულად საშუალო ხელფასი მეტად გაიზარდა, ვიდრე წარმოების მოცულობა და მოგება.

სესიაზე გამოკვეთილად ითქვა იმის თაობაზეც, რომ, თუ 1990 წელს არ მივაღწიეთ გარდატეხას გამოვლენილ სიძნელეთა დაძლევაში, მაშინ რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის წინაპირობის შექმნას ვერ შევძლებთ. ამიტომ ეროვნული შემოსავლის ზრდა გათვალისწინებულია სამი პროცენტით, რაც 1,6 პროცენტით მეტია, ვიდრე საშუალო ეროვნულ ეკონომიკურ ზრდაზე. ეროვნული შემოსავლის მთელი ნამატის მიღება ნავარაუდევია საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. განვლილი პერიოდის საშუალო წლიურთან შედარებით ამ მაჩვენებლის ზრდაც საკმაოდ სოლიდურად არის დაგეგმილი. რაზან პროგრამა ეკონომიკის სოციალური კურსის გაძლიერების შესაბამისად არის შედგენილი, ეროვნული შემოსავლის აბსოლუტურად დიდი ნაწილიც უშუალოდ მოხმარებასა და არასაწარმოო სფეროს ობიექტების მშენებლობაზე დაიხარჯება. სწორედ სოციალური ორიენტაციის კურსის გაძლიერებას მოწმობს ის ფაქტიც, რომ „ა“ ჯგუფის პროდუქციის გამოშვება 0,5 პროცენტით, ხოლო „ბ“ ჯგუფისა 6,7 პროცენტით გაიზრდება.

გარდა მეტალურგიულისა და აგროსამრეწველო კომპლექსებისა, სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა ყველა დარგშია გათვალისწინებული. პირველ მაგალითი ასეთი ვითარება მანგანუმის მოპოვების შემცირებას ხოლო მეორეში — ურთიერთ ეკონომიკურ მდგომარეობა უკავშირდება. გაქანებულ ... გვაღვიძება, მართვის ... ტიკამ სისტემამ, შრომის ორგანიზაციის აჩქარებულ ... ...

ღირსეული ღირსეულთა შორის

ერდულსტრიულ რუსთავში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ახალ სტადიაში შევიდა — მიმდინარეობს ახალი ტიპის პარლამენტის „დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. სალის რჩეულებმა უნდა „ეინიწოლოს 8 მანდატი. დეპუტატობის კანდიდატების დასახელება მიმდინარეობს მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის, დემოკრატიისა და საჯაროობის ვითარებაში. „ქმნილი ბოკკოს“ გიორგიანების კოლექტივის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ რეპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელები საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თეიმურაზ ბაზარაძე, სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის“ კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად ღირსეულად ცნო ამ ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი, ხაშურ მასალათა კომბინატის კოლექტივის კანდიდატი ამ კომბინატის დირექტორი სტანგერ გაფრინდაშვილი... ერთი რამ ცხადია, მომავალი არჩევნები მეტად საინტერესო იქნება. დეპუტატის ერთი მანდატისათვის იბრძოლებს რამდენიმე კანდიდატი. გიამარჯვებს ის, ვისაც მეტად მიენდობიან ამომრჩევლები, ვისაც შესწევს უნარი თავდადებით იღვაწოს პარლამენტში. თუმცა შეცდომებისგანაც არავინ არის დაზღვეული. ამის მწარე გამოცდილება ჩვენ საკმაოდ გვაქვს.

— სახალხო დეპუტატთა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, — თქვა მისმა თავმჯდომარემ თეიმურ დალაქიშვილმა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებისთვის მზადება ის დღიდან დაიწყო, როცა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა კანონპროექტი საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებებისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ.

კანონპროექტების განხილვაში მონაწილეობა მიიღო ყველა შრომითმა კოლექტივმა. მათ მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები ფართოდ განაზოგადეს საქალაქო გაზეთმა „სოციალისტურმა რუსთავმა“, საწარმოთა მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა, ადგილობრივმა რადიომ. პირადად მე კი საშუალება მომეცა რუსთაველი ამომრჩევლების ნაფიქრალი და ნაანრავი უშუალოდ გადამეცა რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი საბჭოს მეთორმეტე სესიის მონაწილეთათვის. წინადადებების ნაწილი რესპუბლიკის დეპუტატთა ფორუმზე განიხილეს, მიიწონეს და მიიღეს. მათ შორის კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლის ცვლილება, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს მისი ტერიტორიის ფარგლებში მდებარე მიწა, მისი წიაღისეული, შავი ზღვის კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსები. ამ ფაქტმა ქალაქის მშრომელთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიზანშეწონილად მიიჩნია მომავალი არჩევნებისათვის ქალაქის არსებული სქემის დაზუსტება. ქალაქის კაპიტალური შენებლობის სამმართველომ (უფროსი ვ. კაჭახიძე), არქიტექტურული დაგეგმარების განყოფილებამ (გამგე გ. ინაშვილი) და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიურომ (უფროსი ვ. ნაჭყებია) ქალაქის არსებულ სქემაზე ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში მოახდინეს ახალი საცხოვრებელი მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი სახლების გადატანა, ხოლო საბინაო მეურნეობის ტრესტმა (მმართველი ზ. ჯაფარიძე) გუდასმით შეისწავლა არსებულ საცხოვრებელ ფონდში ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეული სახლის, უბნის, მიკრორაიონის მიხედვით. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ყოველმა ამომრჩეველმა განახორციელოს თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობანი, მივიდეს საარჩევნო უბანში და ხმა მისცეს რჩეულთა შორის რჩეულს, ვინც მკვეთრად დაიცავს მათ ინტერესებსა და უფლებებს პარლამენტში.

ასეთმა მუშაობამ გაზადვილა საარჩევნო ოლქებისა და მისი ცენტრების შექმნა, საოლქო საარჩევნო კომისიები მოთავსდა შესაფერის შენობებში. შესაძლებლობისამებრ გაათავისუფლეს სკოლის შენობები ამ მოვალეობისაგან. შეიქმნა ნორმალური პირობები აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების მოღვაწეობისათვის.

შედარებით რთული გამოდგა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლების დასახელების დროს ტერიტორიული პრინციპების დაცვა, რადგან ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა 90 პროცენტზე მეტი განლაგებულია მტკვრის აუზის მარცხენა სანაპირზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით მხოლოდ ორი საარჩევნო ოლქი შეიქმნა. აღნიშნულის მიუხედავად, კანონი არ დარღვეულა, ფართო საზოგადოებრიობის აქტიურობის ვითარებაში ჩატარდა შრომითი კოლექტივების, საქალაქო საბჭოს აღმასკომში შექმნილია შტაბი, რომლის სხდომებზე არჩევნებისათვის მზადების ცალკეულ საკითხებთან ერთად იხილავენ მოსახლეობის კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა საარსებო საკითხებს და შეფერხებების აღსაკვეთად იღებენ ზომებს. ვოსახლეობასთან დამაჯერებელი დიალოგის შედეგი, რომ ამ დღეებში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში ქალაქის სამრეწველო კომპლექსი მაინც ირთმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და შეუფერხებლივ მუშაობს. ეს დღეები აღინიშნება აგრეთვე იმითაც, რომ ამომრჩეველთა აქტიურობით მიმდინარეობს ქ. რუსთავის სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის კონცეფციის განხილვა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით ეფექტიანი აღმოჩნდა შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობაში გასვლითი შეხვედრების პრაქტიკა. ამომრჩევლები გულახდილად გამოხატავენ თავიანთ განწყობილებას, გულღიად ასახელებენ დეპუტატობის შესაძლო კანდიდატებს ეროვნულ პარლამენტში. ასეთი კანდიდატები კი იმდენია, რომ თითოეულ მათგანს რამდენიმე ალტერნატიულ კანდიდატთან მოუწევს პაექრობა, რაც მიმდინარე არჩევნებს დიდად განასხვავებს ყველა წინამორბედისაგან.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებმა წელს ერთ გარემოებასაც მიაპყრეს ყურადღება. გადაწყვეტილია წითელი ფერის ქსოვილების შეცვლა უმთავრესად შინდისფრად. ამ მიზნით ახლა მიმდინარეობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც ამ წინადადებას იწონიენენ. — საერთოდ, დადგა დრო, ეროვნულ სიმბოლიკას მეტი პატივისცემით ეეპყრობოდეთ, ყველგან და ყოველთვის გამოვიყენოთ მისი ძალა, არჩევნებში ეროვნული სიმბოლიკის გამოყენება განუზომლად აამაღლებს ჩვენს აქტიურობას, იგი მთელ რესპუბლიკაში უნდა დამკვიდრდეს, — ამ სიტყვებით ყველა რუსთაველი მშრომელის აზრი გამოხატეს მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის საამქროს მუშა-მოსამსახურეებმა.

რუსთავში ისიც გვითხრეს, რომ მიმდინარე ეტაპზე საჭიროდ არ მიიჩნიათ არაქართული ენაზე საარჩევნო კანონების, ლიტერატურის, პლაკატებისა და სხვა თვალსაჩინოებათა გამოგზავნა, რადგან ქალაქში იშვიათია ადამიანი, რომელიც ქართულ ენას ვერ ფლობდეს. საარჩევნო კამპანიის გამოყენებასაც აქ ქართული ენის მოქმედების სფეროს გაფართოების ეტაპად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე გამოსული საარჩევნო ლიტერატურა ქალაქში სანთლით საძებარია. ამ სტრიქონების ავტორსაც დიდი ნაცნობობით მოუხდა ბროშურის „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ შეძენა. იგი დაბეჭდილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში 30 ათასი ტირაჟით, რაც სრულებით არ არის საკმარისი.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პარალელურად რუსთავში უკვე შეეგებენ აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას. სიახლენი ამ არჩევნებშიც მნიშვნელოვანია. მთავარი ის არის, რომ წინა არჩევნებში შექმნილი იყო 45 საარჩევნო ოლქი, რომელიც ამჟამად 37-მდე შემცირდა. წინა არჩევნებში ქალაქის საბჭოს შემადგენლობაში არჩეული იყო 300 დიპუტატი, მომავალ არჩევნებში ეიოიეეგ 110 დეპუტატს. სამაგიეროდ, უხდა შეარჩინონ ნამდვილი ხალხის რჩეულები და არა ისეთები, როგორსაც წინა არჩევნებში ირჩევდნენ. მათ არ შესწევდათ ადამიანებთან მუშაობისა და მათზე მზრუნველობის უნარი. ამ მხრივ, სამწუხაროდ, გამონაკლისი არც უკანასკნელად ჩატარებული სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნები გამოდგა. რუსთაველთა წარგზავნილი ქვეყნის პარლამენტში ბ. ნიკოლსკი ერთი მათგანია, რომელმაც თავს დაატეხა ქართველ ხალხს 9 აპრილის ტრაგედია. ასეთი შეცდომები აღარ უნდა განმეორდეს, აქეთკენ არის ახლა მიპყრობილი ყველა რუსთაველი ამომრჩევლის ფიქრი და ოცნება, ამიტომაც ყველგან და ყოველთვის იგრძნობა მათი აქტიურობა, მიზანსწრაფვა, აირჩიონ ჭეშმარიტად ღირსეული დეპუტატები, მიღწეულ იქნეს ისეთი პარლამენტი, რომელიც ურყევად კამოხატავს ხალხის ინტერესებს.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ფოტოაპარატით რესპუბლიკაში

ახალციხელები თავიანთი სავაჭრო ცენტრის ხშირი სტუმრები არიან. აქ გახსნილია მაღაზიები, რომელთაგან ბევრი კაპიტალურად შეკეთდა, მოქმედებს კაფეები და ბარები, მინისა და ბეტონისაგან ნაგებ უნივერმაღში ახლახან გაიხსნა თანამედროვე რადიოაპარატურის, ტელევიზორებისა და ვიდეომაგნიტოფონების სექცია. სავაჭრო ცენტრში ფეხით მოსიარულეებს არ აშინებთ ტრანსპორტი, მათ შეუძლიათ დატკბნენ კარგად მორთული მაღაზიების ვიტრინებით, და, რაც მთავარია, შეიძინონ მოწონებული ნივთები.

სავაჭრო ცენტრის ორგანიზაციაში დამსახურება მიუძღვით აქაურ ხელისუფალთა და ახალციხის რაიკოოპკავშირის კოლექტივს; აღსანიშნავია, რომ ყველა სავაჭრო ობიექტი თვითდაფინანსებაზე გადავიდა.

სურათზე: სავაჭრო ცენტრი. უნივერმაღის რადიოსაქონლის სექციის გამყიდველი ინგა გაჩეჩილაძე.

საქინფორმის ფოტო.

მოსკოვის გლობალურ ფორუმზე

მოსკოვში საერთაშორისო კონგრესს — „გლობალური ფორუმი გარემოს და გადარჩენის მიზნით განვითარების პრობლემებზე“ მუშაობის მეორე დღე დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების „უორლდუოტჩის“ ინსტიტუტის დამაარსებლის, ლესტერ ბრაუნის გამოსვლით. მრავალი სხვა ორატორისაგან განსხვავებით მას არ დაუხატავს მომავლის პესიმისტური სურათები და დასახა ისეთი საზოგადოების მიღწევის გზები, რომელსაც შეეძლება გადარჩენა.

ფორუმის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ განვითარებულ ქვეყნებში შემუშავებული და გამოყენებული უახლესი ტექნოლოგიები უნდა გადაეცეს არაგანვითარებად ქვეყნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გამოყენების ეფექტი ვერ იქნება მიღწეული გლობალური მასშტაბით. გამოითქვა აგრეთვე აზრი, რომ ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ტექნიკური საშუალებებით. ეკოლოგიური დეგრადაცია არის დამოკიდებული სულიერ დეგრადაციაზე. სანამ არ განიწმინდება სულიერი სფერო, კაცობრობას არაფერი არ გამოუვა.

დიიწყო „დედამიწა და ადამიანთა საზოგადოების“ თემის განხილვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პაკისტანელი ნაფის სადიქის აზრით, კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი უბედურებაა დედამიწის გადამეტასხლება. სწორედ ამ მიზეზის გამო წარმოიქმნება დისჰარმონია ფორმულაში „ადამიანი და ბუნება“. ნ. სადიქს სიტუაციიდან გამოსვლის გზად მიაჩნია თანამიმდევრული მუშაობა ოჯახის დაგეგმვისათვის, ქალების საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

როცა ვლაპარაკობთ ეკოლოგიის პრობლემების გადაჭრაზე, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის გონიერებისა და ზნეობის იმედი გვაქვს, — თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ე. პ. ველიხოვმა. შეგდგებართ რა ახალ საუკუნეში შეძენილი პოლიტიკური და სულიერი კაპიტალით, ნათლად გვაქვს შეგნებული, რომ ეკოლოგიური კეთილდღეობა დაუშვებელია, ისე როგორც დაუშვებელია ეროვნული, რასობრივი, ეკონომიკური ეგოიზმი, აღნიშნა მან. აკადემიკოსმა დამსწრეთ გააცნო „გადარჩენისა და კაცობრიობის განვითარებისათვის“ საერთაშორისო ფონდის რეკომენდაციები, რომლებიც მომზადდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თხოვნით, აღნიშნა ამ დოკუმენტის დიდი მნიშვნელობა.

სხდომაზე გამოცხადდეს, რომ ნავარაუდევია, პარასკევს, 19 იანვარს გლობალურ ფორუმს მიმართავს მ. ს. გორბაჩოვი.

დღის მეორე ნახევარში კონგრესის მონაწილეებმა მუშაობა განაგრძეს თემატურ კომისიებში.

ფორუმი მუშაობას განაგრძობს. მისი მონაწილეები აპირებენ ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ, როგორც პერეს დე კუელიარმა თქვა, ხალხებმა არ მისცენ თავს უფლება ფუფუნებისა, გააშენონ თავიანთი კერძო ბაღი და არ იფიქრონ იმაზე, რომ მის ფარგლებს გარეთ უდაბნო ფართოვდება“. (**საკდესი**).

ნაკლი?—მრავალი, მაგრამ...

ახალქალაქის რაიონის მოსახლეობა 68998 სულს შეადგენს. აქედან 21144 0-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვია. რაიონს ემსახურება 756 მედპერსონალი, საიდანაც 114 ექიმი. დღისათვის აქ 28 ექიმი აკლიათ. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია რაიონული ცენტრალური 250-საწოლიანი საავადმყოფო, სამი სოფლის საავადმყოფო, 16 საექიმო ამბულატორია და 29 საფერშლო-სამეანო პუნქტი.

ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მოელი სიმწვავით დგება სოციალური სფეროს საკითხები. სწორედ ამიტომ არის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი დადგენილება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ძირითად მიმართულებათა შესახებ, რომელიც ამ დარგში მდგომარეობის მკვეთრად გარდაქმნის საამედო პერსპექტივებს ითვალისწინებს.

ადგილებზე აღნიშნული დადგენილების რეალიზაციას, უდიდესი შემართება, მუხლჩაუხრელი შრომა და მიზანსწრაფული მოქმედება სჭირდება, რადგან მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების წარმატებით განხორციელება არა მარტო სამედიცინო კადრებზე, არამედ აგრეთვე სხვა მრავალ ობიექტურ პირობებზეც არის დამოკიდებული.

დავიწყოთ თუნდაც მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. წლების მანძილზე ახალქალაქში მომუშავე სპეციალისტებს სწორედ აქ ჰქონდათ დიდი გასაჭირი, და დღეღეობითაც არაა მოწესრიგებული. თითქმის არაფერია გაკეთებული რაისაავადმყოფოს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის, სადაც ახალქალაქის საერაონთაშორისო სამშენებლო გაერთიანებას მიმდინარე წელს უნდა შეესრულებინა 200 ათასი მანეთის სამუშაობები. ასევე ცუდად წარიმართა სოფლების სამედიცინო დაწესებულებათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. გამონაკლისია სოფელ ბარალეთის საავადმყოფოს შენობა, რომელიც კარგად შეაკეთეს.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სასოფლო-საექიმო ამბულატორიებისა და საფერშლო-სამეანო პუნქტების უმეტესობა ისეთ ძველ, გომურის მსგავს შენობაშია, რომ აღარც გარემონტდება. ახლის აგებაა საჭირო, რის შესაძლებლობასაც ახალქალაქის რაიონი დღემდე პრაქტიკულად მოკლებული იყო, ამიტომ წლების განმავლობაში ეს პრობლემა გადაუწყვეტელი რჩებოდა.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა იყო იმ სოფლებში, სადაც ამჟამად აჭარიდან ჩამოსულები სახლდებიან. მოხდა კი „სასწაული“. სტიქიური უბედურებით დაზარალებული მთიანი აჭარის მოსახლეობას ხომ მთელი საქართველო ამოუდგა მხარში. ჯავახეთში ჩასახლების მსურველთ გულმხურვალედ ეხმარებიან საწარმო-დაწესებულებები, მათ შორის რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივი „სამთო ქმიაც“ (გაერთიანების გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ცხაკაია). გაერთიანების შრომითი კოლექტივის საბჭომ გადაწყვიტა თანამშრომლებისათვის განკუთვნილი, იუგოსლავიაში შეძენილი 30 ორბინიანი კომფორტული კოტეჯები (რვა-რვა ოთახიანი) საჩუქრად გადაეცა აჭარლებისათვის, რაც გასული აგვისტო-ოქტომბერში განახორციელეს კიდეც.

ხოლო როდესაც ამ სოფლების სამედიცინო დაწესებულებები მოინახულეს და მეტად უბედურეკი სურათი იხილეს, გადაწყვიტეს რამდენიმე კოტეჯი ამ დანიშნულებისათვის გადაეცათ. თქვეს და მელიც აქ წელს გამოამწესეს, გვითხრა, — ასეთი ზრუნვისა და ყურადღების შემდეგ, რაც ჩვენმა გამოიჩინეს, რაღა გვაქვს საპრეტენზიო — მივიღეთ ახალი საცხოვრებელი ბინა და კარგი ახლადგებული, შესანიშნავად აღჭურვილი ამბულატორია. ეს ყველაფერი დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ისღა დაგვრჩენია, ვიმუშაოთ მთელი შესაძლებლობით. შემდეგ საიდუმლოც გაგვანდო — ისეთი კარგი ბინა მივიღე და იმდენად კარგი სამუშაო პირობები შემექმნა, რომ დაოჯახების საკითხებიც ერთბაშად ამოიხსნა. ასეთ ზრუნვას ალბათ ჩქარა რეალობად ვაქცევო.

იმის თქმა კი, რომ საერთოდ ახალქალაქის რაიონის მშრომელებს სამედიცინო სამსახურის მიმართ პრეტენზიები არა აქვთო, ნაადრევია. წლების განმავლობაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობას რომ იმეზზეზდნენ, ყურადღების მიღმა დარჩათ მომსახურების ხარისხი, რითაც დღესაც დიდად ვერ მოიწონებენ თავს.

თუ არა სამედიცინო მომსახურებისა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის არასასურველ დონეს, სხვას რას უნდა მივაწეროთ, რომ რაისაავადმყოფოში არ სრულდება საწოლდღეების გეგმა, ჰვადმყოფი ხშირად ამჯობინებს მეზობელ რაიონებში, დედაქალაქში ან სხვა რესპუბლიკაში წავიდეს სტაციონარული მკურნალობისათვის. ერთიც უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ამბულატორიები და სამეანო-საფერშლო პუნქტები კადრებით ძირითადად დაკომპლექტებულია, მათი ნაწილი ხშირად გამოკეტილია. ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს მოსახლეობის პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, ავადმყოფთა დისპანსერიზაცია, დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურება. სათანადო სიმაღლეზე არ დგას მოსახლეობაში სანიტარიული კულტურის პროპაგანდა, მოუგვარებელია საავადმყოფოების რიგიანი პროდუქტებით მომარაგებისა და რძის საშზარეულოს უზრუნველყოფის საქმე და სხვ. მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბევრი სასიკეთო ძვრებია დღეს ახალქალაქში, განსაკუთრებით ახალგაზრდა ექიმთა საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების გაუმჯობესების, მათი მატერიალური დაინტერესების მხრივ, ახალქალაქის რაიონის სამედიცინო პერსონალს, რომელსაც ორიოდე წელია სათავეში უდგას მაღალკვალიფიციური დასტაჯარი ნოდარ შამათავა, სურს ჩანაფიქრი რეალობად აქციოს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სთხოვს, რომ გამნაკლისის სახით 1990 წლიდან ხელფასის ფონდი 21 ათასი მანეთით გაუდიდოს და ოკამის მომავალი საუბნო საავადმყოფოსათვის სასწრაფო დახმარების ავტომანქანა გამოჰყოს, ხოლო ახალ კურსდამთავრებულთაგან ახალქალაქში სამუშაოდ გაანაწილონ ექიმები მხოლოდ საკუთარი სურვილით. აქ კი გარანტიას იძლევიან, რომ მათ სითბო და მზრუნველობა არ მოაკლდებათ.

ელგუჯა ქობაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ფერმა დღეს და ხვალ

ასე შრომობენ ფალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის მეცხოველეები

ფალენჯიხის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი დიდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. იგი ყოველწლიურად ამზადებს 5 ათას ტონამდე ხარისხოვანი ჩაის ნედლეულს. აქ ხდება მისი პირველადი გადამუშავება და დაფასოება, პროდუქციას საკუთარი მარკით უშუალოდ აწვდის ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონს.

კომბინატმა როგორც ყოველთვის, შარშანაც გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის საგეგმო დავალება. სახაჟონლო პროდუქციის მოცულობამ 12 მილიონ მანეთს მიაღწია, მოგებამ — 8 მილიონ მანეთს, მუშის საშუალო თვიურმა ხელფასმა 338 მანეთი შეადგინა. კომბინატი საკავშირო და რესპუბლიკური დროშების მრავალგზის მფლობელია.

ჩაიდან ყოველწლიურად მიღებულმა დიდმა შემოსავალმა და მოგებამ უზრუნველყო სოციალური საკითხების წარმატებით გადაჭრაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ბევრი რამ გაკეთდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ კომბინატის ეზო-შემოგარენი დღეს პატარა კოპენია ქალაქს ჰგავს.

კომბინატში მხოლოდ მეჩაიეობა როდია განვითარებული. მიუხედავად იმისა, რომ მას თავისუფალი მიწის ნაკვეთი ძალიან ცოტა აქვს, საუკეთესოდ განავითარა მეცხოველეობაც. იგი ერთ-ერთი საჩვენებელია არა მარტო ფალენჯიხის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც. აქ 1988-1989 წლებში ფერმების დასათვალიერებლად და მეცხოველეთა მოწვნეად გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოვიდნენ კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, სხვა რეგიონების საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, მეცხოველეები, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები.

ქვემოთ მოთავსებულ წერილში მოკლედ მოგითხრობთ აქაურ მეცხოველეთა გამოცდილებაზე.

პირველი დამხმარე მეურნეობა

სოციალისტური შრომის გმირი ალეკო კვარაცხელია ჩინებული სამეურნეო მუშაკი იყო. მის სახელთან ბევრი რამ კარგი არის დაკავშირებული წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. მეურნეობის (ახლა კომბინატის) მადლიერმა მშრომელებმა ა. კვარაცხელიას უკვდავსაყოფად თვალსაჩინო ადგილას აღმართეს მისი ძეგლი, კომბინატის მუზეუმში კი მოაწყვეს მეურნეობის ყოფილი დირექტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატების გამოფენა.

სწორედ ალეკო კვარაცხელიამ შექმნა 1975 წელს მეურნეობაში მცხეილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა, შეიძინა 30 ძროხა, მათთვის ააშენა კაპიტალური სადგომი. პირუტყვის საკვებისათვისაც იზრუნეს, ეკალბარდისაგან გაწმენდეს მინდორი, „დაამუშავეს და საკვების პირველი მოსავალიც მოიწიეს. მაგრამ ადგილობრივი წარმოების საკვები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ფერმის მოთხოვნებს. არადა, კომბინატის ჩაის პლანტაციებით დაკავებულ ტერიტორიაზე საკვებწარმოების გადიდების საშუალება არ იყო. ხოლო ჩაის ბუჩქთაშორისები ისეა დამუშავებული, ბალახი ვეღარ ხარობს, რომ კაცს პირუტყვის საკვებად გამოადგეს. არადა, დამმარე მეურნეობა წლიდან-წლამდე ჩაიდან შემოსავლით ირჩენდა თავს, რაც აძლიერებდა ჩაის ნედლეულის წარმოებას.

ეს ყველაფერი კარგად იცოდა ა. კვარაცხელიამ, მაგრამ რა ეღონა? ხორცი, რძე და რძის პროდუქტები აუცილებელი იყო მუშებისთვის. სწორედ მათთვის ადგილზე გაიხსნა რძის, ხორცისა და მათი ნაწარმის სარეალიზაციო მაღაზია. აქ მეურნეობის მუშამოსამსახურეები ხელსაყრელ ფასებში იძენდნენ პროდუქტებს, კომბინატის ეზოს გარეთ არ უწევდათ გასვლა რძისა და მისი ნაწარმის შესაძენად.

მაშინ თითოეული ფურის საშუალო წველადობა წელიწადში 1200-1500 კილოგრამს არ აღემატებოდა. ეს გასაკვირი არც იყო. მეურნეობაში მოწეული მცირე საკვები და ძვირად შეძენილი თივა, ნამჯა და კომბინირებული საკვები საკმარისი არ აღმოჩნდა უხვი პროდუქტების წარმოებისათვის.

ფერმის ინტენსიური განვითარება

კომბინატის ახალმა ხელმძღვანელობამ 1981 წლიდან დიდი რუდუნებით დაიწყო ფერმის ინტენსიური განვითარება. განზორციელდა მრავალი ღონისძიება. დიდი ყურადღება მიექცა საკუთარი წარმოების იაფფასიანი საკვები ბაზის განმტკიცებას, ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფერმის მექანიზაციის და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის საკითხებს.

უმთავრესი საზრუნავი მაინც, ცხადია, საკუთარი წარმოების იაფი საკვების დამზადება იყო. მაგრამ როგორ გაეკეთებინათ ეს, როცა კომბინატს საამისო მიწები არ გააჩნია? საბჭოთა და სამეურნეო მუშაობაში გამოცდილი დირექტორის ვალერი ჭანტურიას ინიციატივით იწყეს მიგდებული მიწების ამოშრობა და გაკულტურება. ნაჭაობარი მიწები შემორაგვეს. ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდეს, ნიადაგში დიდი რაოდენობით შეიტანეს ორგანული სასუქი — ნაკელი და 20 ჰექტარი მიწა ისე გაანოყიერეს, რომ საკვებიც უხვად მიიღეს.

დიდი ყურადღება მიექცა ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. ბერწი და ხანდაზმული პირუტყვი ჩაბარეს, სამაგიეროდ დეკეულები შეიძინეს. თანაც 30-ის ნაცვლად 1981 წლისათვის პირუტყვის სულადობა 106-მდე გაიზარდა. აქედან 65 ფური იყო. მათთვის კომბინატის სახსრებით აშენდა კაპიტალური კეთილმოწყობილი და მექანიზებული ბოსელი, საგრძნობლად იმატა პროდუქტიულობამ, მაგრამ ესეც იკოტავეს — გადაწყვიტეს ჯოგი გაეახალგაზრდავებინათ და შეევსოთ ადგილზე მიღებული ნამატით.

მაინც მთავარი ისევ საკუთარი წარმოების საკვები იყო. მაშინ დირექტორმა წამოაყენა წინადადება ერთსა და იმავე ნაკვეთზე წელიწადში 2-3 მოსავალი მიეღოთ. ზოგიერთმა ეს არარეალურად მიიჩნია, არაფერი გამოგვივაო. მაგრამ დირექტორი შეუპოვარი იყო — თუ მცირემიწიანი შვეიცარია ან ჰოლანდია წელიწადში 2-3 მოსავალს იღებს, ყუთათან საკვებსაც ამზადებს და თითოეული ფურისაგან 5 ათას კილოგრამზე მეტ რძეს იღებს, ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრება, ჩვენი მიწა-წყალი ხომ უკეთესი თუ არა, უარესი არ არისო.

თანდათან აეწყო საქმე. ინტენსიურად გამოიყენეს ყოველი მტკაველი მიწა. დიდი ყურადღება მიექცა შუალედური კულტურების მოყვანასა. ერთსა და იმავე ნაკვეთზე 2-3-ჯერ მოჰყავთ მოსავალი, რის წყალობითაც წლის მანძილზე უწყვეტად მოქმედებს „მწვანე კონვეიერი“ და ფერმაც მუდმივად უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის მწვანე მასით. კომბინატში 1980 წლიდან ყოველწლიურად მზადდება 400-500 ტონა სილოსი, 1000-1200 ტონა მწვანე საკვები, 250-300 ტონა ძირხვენები, 100-150 ტონა თივა, 150-200 ტონა სენაჟი, ერთ სულ პირობით პირუტყვზე მზადდება 27-29 საკვები ეროეული. საქონელი უზრუნველყოფილია ადგილზეკვე დამზადებული უხვი და წვნიანი საკვებით, მხოლოდ, ეს არის რომ შემოაქვთ კომბინირებული საკვები, რაც აძლიერებს მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულებას.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და საერთო სულადობაც გაიზარდა. შემოყვანილ იქნა გენეტიკურად მაღალი პოტენციალის მქონე ბუღა-მწარმოებელი. ფერმა დაკომპლექტდა შავ-ჭრელი ჯიშის ძროხებით. ამჟამად ფერმაში 210 სული პირუტყვია, რომელთაგან 80 ფურია. რაც მთავარია, ჯოგი ადგილზე გამოზრდილი საქონლით შეივსო და 1983 წლიდან მოყოლებული, ფურები გარედან არ შემოუყვანიათ.

პირუტყვის სულადობის ზრდას და პროდუქტიულობის სიუხვეს ხელი შეუწყო ფერმის სრულმექანიზაციამ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებამ და შრომის ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვამ. დამატებით აშენდა მოზარდეულის ერთი კორპუსი, სასენაჟე და სასილოსე კოშკები, საკვებგადამამუშავებელი საამქრო. მექანიზებულია ნაკელის გატანა, წველა, საკვების დარიგება და დარწყულება. დიდი ყურადღება ექცევა სამუშაო დღის რეჟიმისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვას.

ფერმაში 1985 წლიდან დაინერგა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმა — კოლექტიური იჯარა. რამაც საგრძნობლ

საკრებულოს ცნობა

როგორც ცნობილია, ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 15 იანვარს მიიღო ბრძანებულება იმის შესახებ, რომ გამოცხადდეს საგანგებო წესების მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის, მისი მიმდებარე აზერბაიჯანის სსრ რაიონების ტერიტორიაზე, სომხეთის სსრ გორისის რაიონში, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის გაწყვრივ სასაზღვრო ზონაში აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე.

ძირითად ღონისძიებათა შორის გათვალისწინებულია, რომ აიკრძალოს კრებების, მიტინგების, ქუჩის მსვლელობების მოწყობა, კონტროლი გაეწიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, შეჩერდეს ორგანიზაციების, თვითმოქმედი გაერთიანებებისა და მოქალაქეთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა, ან დაიშალოს ისინი. იკრძალება აგრეთვე გაფიცვები, იწოდება შესვლა-გამოსვლა, ტრანსპორტის მოძრაობა, წესდება საბუთების შემოწმება, მოქალაქეებს, საჭირო შემთხვევაში საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს დროებით ჩამოერთმევა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი. პირები, რომლებიც პროვოკაციულად იწვევენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, დაკავებული იქნებიან დაახლოებით 30 დღის ვადით. გათვალისწინებულია სხვა საგანგებო ღონისძიებებიც.

ბრძანებულების შესრულებისათვის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები შეუდგნენ პრაქტიკულ მოქმედებას. საზოგადოებრივ წესრიგისა და მოქალაქეთა უფლებათა დაცვის უზრუნველყოფისათვის ლენინაკანის რესპუბლიკის რაიონებში დამატებითი გაიგზავნა შინაგანი ჯარების 6 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების დასაბრძანებლად გაგზავნილია საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილები 5 ათასზე მეტი კაცის ოდენობით. შექმნილი და გაგზავნილია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და პროკურატურის საძიებო-ოპერატიული ჯგუფები. დაკავებულია 49 წამქეზებელი და დამრბევი. მართლწესრიგის რაზმების მტკიცე, პროფესიულმა მოქმედებამ იხსნა მრავალი ადამიანის სიცოცხლე. დაცულია უმნიშვნელოვანესი ობიექტები — ტრანსპორტი, საწარმოები, აეროპორტები. ხორცელდება ღონისძიებები გატაცებული იარაღის ამოღების და იმ პირების დადგენისათვის, ვინც ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. იმასთან დაკავშირებით, რომ ბაქოში შეიქმნა მწვავე სიტუაცია, სადაც ხდებოდა დარბევა, იყო მსხვერპლი, მართლწესრიგის ადგილობრივი ძალები გაამაგრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებით და საბჭოთა არმიით.

გაძლიერდა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვა.

ამავე დროს ვითარება კვლავ უფრესად დაძაბულია. გართულებულ სიტუაციაში ბევრი მცდელობა მოითხოვს, რომ ხელისუფლებმა განახორციელონ შემდგომი მტკიცე ღონისძიებანი.

გაიმართა შეხვედრები

ბაქო, 16 იანვარი. (აზერინფორმი — საკდესი). რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ განიხილავს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას „მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქსა და სხვა რაიონებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ“. ეს ესახებათ რეგიონში უაღრესად შერყეული ვითარების გაჯანსაღების გზად. ბაქოს მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ ქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის, უმსგავსობისა და უწესრიგობის აღკვეთისათვის.

დღეს დილით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ე. მ. პრიმაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. გირეკო, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა.-რ. ხ. ვეზიროვი შეხვდნენ ქალაქ ბაქოს სამართალდაცვითი ორგანოების ყველა რგოლის მუშაკს. განსაზღვრეს წესრიგის ყველგან დაცვის უზრუნველყოფის, გაჯირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენის მიზნით მუშაობის კონკრეტული მიმართულებანი. მიეცმოდინა დაკვალება უაღრესად მტკიცედ, ყველა არსებული საშუალების გამოყენებით აღიკვეთოს დანაშაულებრივი აქციები.

საკავშირო მაღალ დასტურდება

კიდევ ერთხელ ლაკბესა და ილტოს წყალსაცავთა ეკოლოგიური ექსპერტიზის პირველი შედეგების შესახებ

— ბატონო მიხეილ, რას ითვალისწინებდნენ სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის III და IV ტურები და როგორია მათი შედეგები?

— როგორც ცნობილია, **I და II ტურებში** ცალკეულ საექსპერტო ჯგუფებში (ასეთი ჯგუფი კი სულ ცხრაა) დასახელებულ და დაზუსტებულ იქნა ის ფაქტორებ, რომლებსაც მადომინირებელი გავლენა აქვთ აღნიშნულ ობიექტებზე. მომდევნო **III და IV ტურები** ითვალისწინებდნენ თითოეულ საექსპერტო ჯგუფში შემავალი, დამტკიცებული ფაქტორების ბუნებრივი და ხელოვნური სკალების მეშვეობით განხორციელებისა და მათი ცვალებადობების დიაპაზონების დადგენას.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მეთოდიკა აღნიშნულ ეტაპზე ითვალისწინებდა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის გამოყენებას იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე ფაქტორის განზომილების ან მათი ცვალებადობის დიაპაზონის დადგენისას ექსპერტები აზრთა სხვადასხვაობის გამო ვერ შეთანხმდებოდნენ. მართალია, ექსპერტ-სპეციალისტებს შორის, როგორც ამას ცალკეული ანკეტების ანალიზი აჩვენებს, ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ ისინი უმანქანოდაც შეთანხმდნენ. ასე რომ, ექსპერტიზის „მანქანური უზრუნველყოფის“ სპეციალისტები — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ოთარ რუხაძე და მეცნიერი თანამშრომელი ზურაბ ჩიხლაძე, შეიძლება თქვას, ამ ეტაპზე „უსაქმოდ დარჩნენ“.

ავე ისიც მინდა დავძინო, რომ **III და IV ტურებში,** როგორც მოსალოდნელი იყო, დამატებით „გაიფილტრა“ წინა ტურში დასახელებული და დაზუსტებული ფაქტორები. მაგალითად, ლაკბეს კაშხლის ოპტიმალური სიმაღლის შესარჩევად (რომელიც თავის მხრივ განაპირობებს წყალსაცავის ისეთ მოცულობას, რომლის განხორციელებით ასე თუ ისე შენარჩუნებული იქნება ეკოლოგიური წონასწორობა და მიღწეული იქნება მაქსიმალური სახალხო-სამეურნეო თუ სოციალურ-ზნეობრივი ეფექტიც), „საძებნი ინტერვალის“ დადგენის შემდეგ, რომელიც ექსპერტ-სპეციალისტთა გადაწყვეტილებით ალებულ იქნა 0-დან 100 მეტრამდე, ეკოლოგიური ექსპერტიზის „ცენზარებიდან“ დამატებით გამოირიცხა ის ფაქტორები, რომლებიც აღნიშნულ „ინტერვალში“ უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ იცვლებიან.

„საძიებო ინტერვალში“ განხილულ იქნა სამი „ბაზისური წერტილი“, რომლებსაც კაშხლის სხვადასხვა სიმაღლეები (33,5; 62,1 და 85 მ), წყალსაცავის სხვადასხვა მოცულობები (5,5; 28 და 95 მლნ კუბური მეტრი) და წყალსაცავის სხვადასხვა ფართობის სარკობრივი ზედაპირები (45; 200 და 510 ჰექტარი) შეესაბამება. ცხადია, ასევე განსხვავებული იქნება მათი ზემოქმედებაც გარემოზე, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

რაც შეხება **III და IV ტურების** შედეგებს, ამ საკითხებზე ალბათ უმჯობესია თვითონ ცალკეული საექსპერტო ჯგუფის ხელმძღვანელებს მოუსმინოთ.

ვერა ჭაშაკიძე (I საექსპერტო ჯგუფი — „ადამიანის ჯანრთელობა და უსაფრთხოება“) — ჩვენს საექსპერტო ჯგუფში **I და II ტურებში** დასახელებულ იქნა 4 მადომინირებელი ფაქტორი (იხ. „კომუნისტი“, 1989 წ. 26 ნოემბერი), მაგრამ როგორც ჩატარებული გამოკვლევებისა და არსებული საპროექტო-საძიებო სამუშაოების ანალიზი აჩვენებს, ლაკბეს ეკოლოგიურ ექსპერტიზაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ „მუშათა ტრავმატიზმი კაშხლის მშენებლობის დროს“.

მართლაც, გამოვიყენეთ რა „მიკროკლიმატისა“ და „წყლის ხარისხის“ საექსპერტო ჯგუფის მონაცემები, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საინჟინრო-ტექნიკური განყოფილების გაანგარიშებები, მივედით იმ დასკვნამდე, რომ დანარჩენი ფაქტორების „წონა“ ეკოლოგიურ ექსპერტიზაში ამ ობიექტზე უმნიშვნელო იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნულ „ბაზისურ წერტილებში“ კაშხლის მშენებლობაზე დასაქმებული იქნება 200-დან 520-მდე კაცი, „მუშათა ტრავმატიზმის“ სიდიდე შეიძლება იცვლებოდეს დიაპაზონში 0,6—1,56 კაცი (წელიწადში).

ჩვენს საექსპერტო ჯგუფში მუშაობენ: **ავთანდილ გოგოლი** — საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ჰიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **გუგული გუგუშვილი** — სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სმეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და **არუთინ პეტროსიანი** — საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის საინჟინრო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, პოდპოლკოვნიკი.

დავით ნაკანი (II ჯგუფი — „წყლის ხარისხზე გავლენა“) — ჩვენს საექსპერტო ჯგუფში გაერთიანებული არიან შემდეგი ექსპერტი სპეციალისტები: **თეიმურაზ ჭანშვილი** — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ლაშა ცისკარიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგიური ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი და **ომარ ყენია** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სმეცნიერო-საინფორმაციო ცენტრის დირექტორი.

თავიდანვე აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ საერთო ეკოლოგიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, უმჯობესია წყალსაცავები აშენდეს რაც შეიძლება მცირე ზომის, რათა გარემოზე ზემოქმედება მინიმალური იყოს, მაგრამ რადგან ჩვენი ჯგუფის კონკრეტული ამოცანა იყო წყალსაცავის პარამეტრების შერჩევა მხოლოდ წყლის ხარისხიდან გამომდინარე, ამიტომ, ცხადია, ჩვენი ეს „კონკრეტული ინტერესებიც“ წყლის მეტი მოცულობისაკენ „იხრებოდა“. მართლაც, რაც უფრო დიდი იქნება წყალსაცავის მოცულობა, მით უფრო ეფექტიანია მასში მოხვედრილი გამაბინძურებლების განზავება და უფრო მაღალია წყალსაცავის თვითწმენდის უნარი, შესაბამისად უკეთესი იქნება წყალსაცავში წყლის ხარისხიც.

III და IV ტურების შემდეგ ლაკბეს წყალსაცავის ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩვენს საექსპერტო ჯგუფში დარჩა 4 მადომინირებელი ფაქტორი. „წყალსაცავის ქვაბულში და მის წყალშემკრებ აუზში ნავთობის გამონაყოფიანი წყლის ხარისხის შეცვლის“ დასადგენად ჩატარდა მაკაბმდე მდინარე ლაკბეს დროებითი დგომებით შემჩნეული წყალსაცავის წყლის ქიმიური ანალიზი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყალსაცავის 5,5 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის შემთხვევაში ნავთობის კონცენტრაცია იქნება დაახლოებით 0,36 მგ/ლ, ხოლო 95 მილიონი კუბური მეტრის შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება 85 მეტრი სიმაღლის კაშხალს — 0,02 მგ/ლ. მაშინ როდესაც წყალში ნავთობის შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) შეადგენს 0,05 მგ/ლ.

„წყალსაცავის თვითგაწმენდის ბიოლოგიური პროცესები, ანუ პირველადი პროდუქციისა და დესტრუქციის ფარდობა“ შესწავლილ იქნა სიონის წყალსაცავის მაგალითზე, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რის შედეგადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველადი პროდუქციისა (ფოტოსინთეზის ინტენსივობის) და დესტრუქციის საგარაუდო ფარდობა წყალსაცავის მინიმალური სიღრმის შემთხვევაში იქნება საშუალოდ — 0,35, ხოლო მაქსიმალური სიღრმის დროს — 0,0035. საერთოდ, სასურველია, ეს ფარდობა 1-ზე ნაკლები იყოს, რადგან რაც უფრო მცირეა ამ ფარდობის მნიშვნელობა, მით უფრო სუფთაა წყალსაცავში წყალი. „ალაზნის სარწყავი სისტემიდან წყალსაცავში მოხვედრილი მინერალური და ორგანული ნივთიერებების წყლის ხარისხზე გავლენის“ განსაზღვრისათვის ვხელმძღვანელობდით „საქართველოს სსრ ზედაპირული წყლების ხარისხის 1988 წლის მონაცემებით“, რომლებსაც რეგულარულად გამოსცემს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველო.

აღნიშნული მონაცემების თანახმად ალაზნის, დაახლოებით იმ მონაკვეთში, საიდანაც სარწყავი სისტემით აიღება წყალი ლაკბეს წყალსაცავის შესავსებად, წყალი შეიცავს: ორგანულ ნივთიერებებს (ყანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნებზე გადაანგარიშებით) — 3 მგ/ლ, ფენოლს — 0,006 მგ/ლ, ამონიუმის აზოტს — 1,1 მგ/ლ. გაანგარიშებებით მიგიღეთ, რომ აღნიშნულ ნივთიერებათა საგარაუდო კონცენტრაციები 5,5 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავის დროს სათანადოდ იქნება: 2,67; 0,0054 და 1 მგ/ლ ხოლო 95 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავის დროს — 2,38; 0,0044 და 0,8 მგ/ლ. განვმარტავთ, რომ ამ ნივთიერებათა წყალში ზდკ შესაბამისად არის 3; 0,001 და 0,39 მგ/ლ.

„წყალსაცავის ფსკერის დამუშავება-დეზინფექციერებისა და მშენებლობის პროცესში ტყის გაკაფვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები წყლის ხარისხის შეცვლა“ ძირითადად ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე იჩენს თავს. აღნიშნული ფაქტორის შესაფასებლად შემოღებულ იქნა „ხელოვნური სკალა“, რომლის დიაპაზონიც შეირჩა 1-დან 5-მდე ინტერვალში, სადაც 1 ბალს შეესაბამება ფაქტორის ყველაზე ცუდი, ხოლო 5 ბალს — ყველაზე კარგი მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ილტოს წყალსაცავის ეკოლოგიური ექსპერტიზის დროს ზმიდელობაში მიიღება მხოლოდ პირველი და მესამე, ცხადია, სათანადო რიცხობრივი მნიშვნელობით. ვინაიდან ეს რიცხობრივი მნიშვნელობები არავითარ დამატებით ინფორმაციას არ მისცემს მკითხველს, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

ფრიდონ შაბდარაშვილი (III ჯგუფი — „ჰიდროლოგია და ჰიდროგეოლოგია“). — ჩვენს ჯგუფში გაერთიანებულმა ექსპერტმა სპეციალისტებმა ლაკბეს წყალსაცავის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის საბოლოოდ დატოვეს ორი მადომინირებელი ფაქტორი — „მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შეცვლა წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე“ და „წყალსაცავის გავლენა ტალახს „ვულკანების“ მოქმედების რეჟიმზე“. მათ შესაფასებლად კი შემოიღეს 5-ბალიანი ხელოვნური სკალები. აღნიშნულ ფაქტორებს 85 მეტრი სიმაღლის კაშხლის აშენების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც წარმოიშვება წყალსაცავი 510 ჰექტარი ფართობის სარკობრივი ზედაპირით, სათანადოდ მიეანიჭეთ 2 და 3 ბალი.

რაც შეეხება ილტოს წყალსაცავს, აქაც ექსპერტიზა მომავლისათვის გათვალისწინებს მხოლოდ ორ ფაქტორს — „წყალსაცავის მოლაშვა მდინარის მყარი ნატანით და ღვარცოფული მასალით“ და „სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების პირობების შეცვლა ქვედა ბიეფში“. ეს ფაქტორებიც ხელოვნური სკალით შეფასდა და მათ სათანადოდ 3 და 4 ბალი მიენიჭათ.

ჩვენს ჯგუფში მუშაობდნენ ექსპერტი სპეციალისტები: **ნინო ვარანაშვილი** — ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სმეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გივი გიგინეიშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიის განყოფილების გამგე, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი; **ლევან ხარაძეშვილი** — საქართველოს სსრ გეოლოგიური სმ/მ სპეციალიზებული სმეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი და **ჯემალ გაბეჩავა** იმავე სამმართველოს მთავარი გეოლოგი, ჰიდროლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

კონსტანტინე ჯანჯღავა (IV ჯგუფი — „გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური პროცესები“). ჩვენს ჯგუფში გაერთიანებული არიან შემდეგი ექსპერტი სპეციალისტები: **ოთარ გოცაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის რეგიონული სეისმოლოგიის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; **ალექსანდრე ბიბილეიშვილი** — ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **კონსტანტინე ჯანჯღავა** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი; **ვლადიმერ ხოროზოვი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ატროზოლების ფიზიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ოთარ ბირკაია** — ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; **ემილ კობახიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, აგრეთვე სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ ღოღობერიძე** — საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

I და II ტურების შედეგები, როგორც მკითხველისათვის ცნობილია, გამოქვეყნებული იყო „კომუნისტის“ 26 ნოემბრის ნომერში. ამჯერად ვიმსჯელებ III და IV ტურები. რა შედეგები მოგვცეს მათ? — იმის გასაგებად სასურველია, ჯერ ექსპერტთ ჯგუფების ზოგიერთი ხელმძღვანელი: ვერა ჭაშაკიძე, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს შრომითი მეგობრისა და პროფესიონალთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დავით ნაკანი — საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ბუნების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; ფრიდონ შაბდარაშვილი — ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; კონსტანტინე ჯანჯღავა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ვლადიმერ ხოროზოვი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ატროზოლების ფიზიკის განყოფილების გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ემილ კობახიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, აგრეთვე სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ღოღობერიძე — საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რაზ ჭანშვილი — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; **ლაშა ცისკარიშვილი** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგიური ლაბორატორიის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი და **ომარ ყენია** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სმეცნიერო-საინფორმაციო ცენტრის დირექტორი.

თავიდანვე აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ საერთო ეკოლოგიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, უმჯობესია წყალსაცავები აშენდეს რაც შეიძლება მცირე ზომის, რათა გარემოზე ზემოქმედება მინიმალური იყოს, მაგრამ რადგან ჩვენი ჯგუფის კონკრეტული ამოცანა იყო წყალსაცავის პარამეტრების შერჩევა მხოლოდ წყლის ხარისხიდან გამომდინარე, ამიტომ, ცხადია, ჩვენი ეს „კონკრეტული ინტერესებიც“ წყლის მეტი მოცულობისაკენ „იხრებოდა“. მართლაც, რაც უფრო დიდი იქნება წყალსაცავის მოცულობა, მით უფრო ეფექტიანია მასში მოხვედრილი გამაბინძურებლების განზავება და უფრო მაღალია წყალსაცავის თვითწმენდის უნარი, შესაბამისად უკეთესი იქნება წყალსაცავში წყლის ხარისხიც.

III და IV ტურების შემდეგ ლაკბეს წყალსაცავის ექსპერტიზის ჩასატარებლად ჩვენს საექსპერტო ჯგუფში დარჩა 4 მადომინირებელი ფაქტორი. „წყალსაცავის ქვაბულში და მის წყალშემკრებ აუზში ნავთობის გამონაყოფიანი წყლის ხარისხის შეცვლის“ დასადგენად ჩატარდა მაკაბმდე მდინარე ლაკბეს დროებითი დგომებით შემჩნეული წყალსაცავის წყლის ქიმიური ანალიზი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყალსაცავის 5,5 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის შემთხვევაში ნავთობის კონცენტრაცია იქნება დაახლოებით 0,36 მგ/ლ, ხოლო 95 მილიონი კუბური მეტრის შემთხვევაში, რომელიც შეესაბამება 85 მეტრი სიმაღლის კაშხალს — 0,02 მგ/ლ. მაშინ როდესაც წყალში ნავთობის შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ) შეადგენს 0,05 მგ/ლ.

„წყალსაცავის თვითგაწმენდის ბიოლოგიური პროცესები, ანუ პირველადი პროდუქციისა და დესტრუქციის ფარდობა“ შესწავლილ იქნა სიონის წყალსაცავის მაგალითზე, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, რის შედეგადაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველადი პროდუქციისა (ფოტოსინთეზის ინტენსივობის) და დესტრუქციის საგარაუდო ფარდობა წყალსაცავის მინიმალური სიღრმის შემთხვევაში იქნება საშუალოდ — 0,35, ხოლო მაქსიმალური სიღრმის დროს — 0,0035. საერთოდ, სასურველია, ეს ფარდობა 1-ზე ნაკლები იყოს, რადგან რაც უფრო მცირეა ამ ფარდობის მნიშვნელობა, მით უფრო სუფთაა წყალსაცავში წყალი. „ალაზნის სარწყავი სისტემიდან წყალსაცავში მოხვედრილი მინერალური და ორგანული ნივთიერებების წყლის ხარისხზე გავლენის“ განსაზღვრისათვის ვხელმძღვანელობდით „საქართველოს სსრ ზედაპირული წყლების ხარისხის 1988 წლის მონაცემებით“, რომლებსაც რეგულარულად გამოსცემს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველო.

აღნიშნული მონაცემების თანახმად ალაზნის, დაახლოებით იმ მონაკვეთში, საიდანაც სარწყავი სისტემით აიღება წყალი ლაკბეს წყალსაცავის შესავსებად, წყალი შეიცავს: ორგანულ ნივთიერებებს (ყანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნებზე გადაანგარიშებით) — 3 მგ/ლ, ფენოლს — 0,006 მგ/ლ, ამონიუმის აზოტს — 1,1 მგ/ლ. გაანგარიშებებით მიგიღეთ, რომ აღნიშნულ ნივთიერებათა საგარაუდო კონცენტრაციები 5,5 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავის დროს სათანადოდ იქნება: 2,67; 0,0054 და 1 მგ/ლ ხოლო 95 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის წყალსაცავის დროს — 2,38; 0,0044 და 0,8 მგ/ლ. განვმარტავთ, რომ ამ ნივთიერებათა წყალში ზდკ შესაბამისად არის 3; 0,001 და 0,39 მგ/ლ.

„წყალსაცავის ფსკერის დამუშავება-დეზინფექციერებისა და მშენებლობის პროცესში ტყის გაკაფვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები წყლის ხარისხის შეცვლა“ ძირითადად ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე იჩენს თავს. აღნიშნული ფაქტორის შესაფასებლად შემოღებულ იქნა „ხელოვნური სკალა“, რომლის დიაპაზონიც შეირჩა 1-დან 5-მდე ინტერვალში, სადაც 1 ბალს შეესაბამება ფაქტორის ყველაზე ცუდი, ხოლო 5 ბალს — ყველაზე კარგი მნიშვნელობა.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან ილტოს წყალსაცავის ეკოლოგიური ექსპერტიზის დროს ზმიდელობაში მიიღება მხოლოდ პირველი და მესამე, ცხადია, სათანადო რიცხობრივი მნიშვნელობით. ვინაიდან ეს რიცხობრივი მნიშვნელობები არავითარ დამატებით ინფორმაციას არ მისცემს მკითხველს, ამიტომ მათზე აღარ შევჩერდებით.

ფრიდონ შაბდარაშვილი (III ჯგუფი — „ჰიდროლოგია და ჰიდროგეოლოგია“). — ჩვენს ჯგუფში გაერთიანებულმა ექსპერტმა სპეციალისტებმა ლაკბეს წყალსაცავის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის საბოლოოდ დატოვეს ორი მადომინირებელი ფაქტორი — „მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შეცვლა წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე“ და „წყალსაცავის გავლენა ტალახს „ვულკანების“ მოქმედების რეჟიმზე“. მათ შესაფასებლად კი შემოიღეს 5-ბალიანი ხელოვნური სკალები. აღნიშნულ ფაქტორებს 85 მეტრი სიმაღლის კაშხლის აშენების შემთხვევაში, ე. ი. როდესაც წარმოიშვება წყალსაცავი 510 ჰექტარი ფართობის სარკობრივი ზედაპირით, სათანადოდ მიეანიჭეთ 2 და 3 ბალი.

რაც შეეხება ილტოს წყალსაცავს, აქაც ექსპერტიზა მომავლისათვის გათვალისწინებს მხოლოდ ორ ფაქტორს — „წყალსაცავის მოლაშვა მდინარის მყარი ნატანით და ღვარცოფული მასალით“ და „სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების პირობების შეცვლა ქვედა ბიეფში“. ეს ფაქტორებიც ხელოვნური სკალით შეფასდა და მათ სათანადოდ 3 და 4 ბალი მიენიჭათ.

ჩვენს ჯგუფში მუშაობდნენ ექსპერტი სპეციალისტები: **ნინო ვარანაშვილი** — ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **ოთარ ყენია** — საქართველოს სსრ ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სმეცნიერო-საინფორმაციო ცენტრის დირექტორი; **ემილ ჭერეთელი** — საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს „საქინქგეოდაცვის“ უფროსის მოადგილე, ეკოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი და **სვეტლოზარ ვიქტოროვი** — საქართველოს ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სამთო განყოფილების წამყვანი ინჟინერი.

III და IV ტურებში საბოლოოდ გადაწყდა ლაკბეს ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდეს 2 მადომინირებელი ფაქტორის გათვალისწინებით: „წყალსაცავის ნაპირების გადამუშავება-ფორმირება და ფერდობების პროცესების განვითარება-აქტივიზაცია“ და „სეისმური პროცესების აქტივიზაცია“. რაც შეეხება ილტოს წყალსაცავის ექსპერტიზას, აქ გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, დამატებით განხილება „ჯარსტული პროცესების აქტივიზაცია“. ორივე შემთხვევაში ფაქტორების შესაფასებლად შემოღებულ იქნა „ხელოვნური სკალები“ 5-ბალიანი შეფასებით.

ვლადიმერ ხოროზოვი (VI ჯგუფი — „მიკროკლიმატი“) — გამოკვლევებით დადგინდა, რომ წყალსაცავის სანაპიროზე, თუ წყლის სარკობრივი ზედაპირი იქნება 200-500 ჰექტარი, ოქტომბერ-ნოემბერში მოსალოდნელია ჰაერის საშუალო ტემპერატურის 0,3-0,7 გრადუსით გაზრდა, ხოლო იანვარში 0,3-0,5 გრადუსით დაწევა. ერთი კილომეტრის რადიუსით წყალსაცავის გავლენა ჰაერის ტემპერატურაზე პრაქტიკულად არ შეიმჩნევა.

წყალსაცავის ნაპირთან მოსალოდნელია ჰაერის სინოტივის გაზრდა 4-7 პროცენტით. ხოლო ერთი კილომეტრის რადიუსით აღნიშნული ცვლილებები გამორიცხულია.

ლაკბეს წყალსაცავთან ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა, უახლოესი მეტეოსადგურის (გურჯაანის) მონაცემებით 741 მმ შეადგენს, ხოლო ილტოს წყალსაცავთან (ახმეტის მეტეოსადგურის მონაცემებით) — 788 მილიმეტრს. საერთოდ ნალექების წარმოქმნა დაკავშირებულია დიდი მასშტაბის მეტეოროლოგიურ მოვლენებთან და ამიტომ ამ ობიექტებმა არ შეიძლება მისი მნიშვნელოვანი ცვლილება გამო

უკუნოქმედი

საქართველოს იუსტიციის

17 იანვარი

● ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირი

მოლაპარაკება ჯარების გამოყვანის თაობაზე

პრაღა. 15-16 იანვარს აქ გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მყოფ საბჭოთა ჯარებთან დაკავშირებულ საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების პირველი რაუნდი.

სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. აბოიმოვი, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას — ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. ვაცეკი.

მოლაპარაკების დროს წინასწარი წესით განიხილეს ამ პრობლემის პოლიტიკური, სამხედრო, საერთაშორისო — სამართლებრივი, ფინანსური და სხვა ასპექტები.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ წარმოადგინა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების ეტაპობრივი გამოყვანის შესახებ შეთანხმების პროექტი კონკრეტული ვადების მითითებით, აგრეთვე წინადადება მათი გამოყვანის პერიოდში ჯარების სტატუსის საკითხის გადაწყვეტის წესის შესახებ.

იმის გამო, რომ ნაწილი საკითხებისა დამატებით დამუშავებას საჭიროებს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება მოსკოვში არა უგვიანეს თებერვლის პირველი კვირისა.

● ბრ

ოპოზიციის მოთხოვნები

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში და სოფლებში კაიმირთა დემონსტრაციები და მიტინგები. ზოგიერთ მათგანში ასეითასობით კაცი მონაწილეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰანს მოდროვის კოალიციური მთავრობა გადამწყვეტ ღონისძიებებს აზორციელებს კრიზისიდან ეკონომიკის გამოყვანისათვის, ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის, ოპოზიციური ძალების აზრით, განახლების პროცესი მეტისმეტად ნელა მიმდინარეობს, არის ძველი სტრუქტურების თანდათანობითი აღდგენის, სტალინიზმის აღორძინების საფრთხე. კარლ-მარქს-შტადტის, დრეზდენის, ოდერის ფრანკფურტის, პოსტდამის, ნოიბრანდერბურგის, როსტოკის, მაგდებურგის ქუჩებსა და მოედნებზე გამართული მიტინგის დროს გამოსული ორატორები მოითხოვდნენ ყველა პარტიისათვის თავისუფალ და თანასწორ არჩევნებს, კორუფციასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში ბრალეულთა დასჯას. ლაიფციგში 150 ათასი დემონსტრანტი მოითხოვდა გერმანიის გაერთიანებას.

● ალბანეთი

რამიზ ალიას გამოსვლა

ბელგრადი. ტანიუგის სააგენტომ გაავრცელა ცნობა ტირანას ავტოსატრაქტორო კომბინატის მუშებთან შეხვედრაზე ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის რ. ალიას გამოსვლის შესახებ.

„რ. ალიამ უარყო მსოფლიო პრესის ცნობები ალბანეთში საგანგებო მოვლენების შესახებ, აღნიშნა, რომ ქვეყნის არც ერთ რაიონში არ შემოუღიათ საგანგებო წესები, არ გამართულა დემონსტრაციები, არ მომხდარა უწესრიგობანი და მკვლელობანი.

დაახასიათა რა ეს როგორც დასავლეთის გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის „ღვარძლიანი კამპანია“, რ. ალიამ განსაკუთრებული ბრალი დასდო იუგოსლავიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ალბანეთში უწესრიგობათა შესახებ ცნობების გავრცელებაში.

ალბანეთის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „ალბანეთი მიუზედავად იმისა, რომ ცდილობენ ააცდინონ იგი ნამდვილ გზას, მტკიცედ მიდის წინ პროგრესისა და სოციალიზმის გზით“.

● ინგლისი

საპროტესტო დემონსტრაცია

ბუდაპეშტი. აქ დაახლოებით ოთხმა კაცმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია ახლანდელი უნგრეთის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ფასების ასახწინანდელ ზრდასთან დაკავშირებით. საზოგადოებრიობის ეს გამოსვლა მოეწყო ქვეყნის ერთ-ერთი ავტორიტეტიანი პოლიტიკური ორგანიზაციის — უნგრეთის დემოკრატიული ფორუმის ინიციატივით.

გმირთა მოედანზე გამართული მიტინგის შემდეგ დემონსტრანტებმა ქალაქის ქუჩებში ჩაიარეს და შეიკრიბნენ უნგრეთის პარლამენტის შენობის წინ, სადაც გადასცეს უნგრეთის დემოკრატიული ფორუმის პეტიცია, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას, რომ დაწესდეს სახელმწიფო კონტროლი კერძო ხელში სახელმწიფო საკუთრების გადაცემის პროცესისადმი, აგრეთვე დაუყოვნებლივ შეწყდეს დიდი კაპიტალდაბანდებების რეალიზაცია.

● ბანგლადეში

მორიგი პროვოკაცია

პაპანა. მორიგი პროვოკაცია მოაწყვეს პანამაში ამ ქვეყანაში აკრედიტებული კუბის დიპლომატების წინააღმდეგ. როგორც კუბის ტელევიზია იუწყება, პროამერიკული ორგანიზაციის „ერთიანი სამოქალაქო ჯვაროსნული ლაშქრობის წევრი“ არამზადების ბრბომ მოაწყო მანიფესტაცია პანამაში კუბის ელჩის რეზიდენციასთან. გამავხედებულმა ხულიგნებმა შენობას დაუშინეს ქვა, იმუქრებოდნენ, მოითხოვდნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მყოფი პანამელი მოქალაქეების გადაცემას, რომლებიც გ. ენდერის მთავრობისაგან მოელიან ემიგრაციის ნებართვას.

ეს კუბის საწინააღმდეგო აქცია მოეწყო პანამის ხელისუფლების და ქვეყანაში მყოფი ამერიკის საოკუპაციო ჯარების ხელშეწყობით, მიუხედავად იმისა, რომ კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინასწარ გააფრთხილა ხალხი, რომ მზადდება პროვოკაცია.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **ალჟირი. ალჟირის დედაქალაქში გაიმართა ლიბანის შეხვედრა სამთა კომიტეტის სხდომა ალჟირის, მაროკოს და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.**

ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიდ აჰმედ გოზალიმ განაცხადა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა მოიწონეს სამუშაო დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ლიბანის შესახებ კომიტეტის წევრი სამი სახელმწიფოს მეთაურთა განსახილველად. დოკუმენტის შინაარსი ჯერჯერობით უცნობია.

◎ **აპირო. ისრაელის მთავრობა აპირებს მიმდინარე წელს მილიარდი შეკელი მოახმაროს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ახალი დასახლებების მშენებლობას.** მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გაერთიანებამ გულისწყრომით დაგმო ოდნდელი არაბული მიწების კოლონიზაცია, თელ-ავივი განაგრძობს ახალი გასამხედროებული დაბების მშენებლობას პალესტინელი გლეხებისაგან კონფისკებულ ნაკვეთებზე და აფართოებს უკვე არსებულ დაბებს.

კონკურსი დამთავრდა, კონკურსი გრძელდება

ფოტოკონკურსი-89

შეჯამდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ 1989 წლისათვის გამოცხადებული ფოტოკონკურსის შედეგები.

პირველი პრემია (160 მან.) მიენიჭა ფ. კრიმსკის ფოტოსურათისათვის „ნუ ჩამიქრები!“ ორი **მეორე პრემია** (75-75 მან.) მიეკუთვნათ ს. მამასახლისსა და დ. იაკობაშვილს ნამუშევრებისათვის „აპრილის დღეები“ და „ჩუმად!“.

ოთხი **მესამე პრემია** (50-50 მან.) მიენიჭათ ა. ჩხატარაიშვილს („ნაღვლიანი მზერა“), გ. ცაგარელს („უკვდავება“), ე. გიგილაშვილს („ბალერინას სადაგი დღეები“) და შ. აივაზოვს („მაესტრო“).



„ნუ ჩამიქრები!“

„ჩუმად!“

„აპრილის დღეები“



„ბალერინას სადაგი დღეები“

„ნაღვლიანი მზერა“



„მაესტრო“



„უკვდავება“

ვულოცავთ გამარჯვებულებს

ფოტოკონკურსი-89

ზეიმი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის მიერ 1989 წლისათვის გამოცხადებულ ფოტოკონკურსის შედეგები.

პირველი პრემია (160 მან.) მიენიჭა ფ. კრიმსკის ფოტოსურათისათვის „ნუ ჩამიქრები!“ ორი **მეორე პრემია** (75-75 მან.) მიეკუთვნათ ს. მამასახლისსა და დ. იაკობაშვილს ნამუშევრებისათვის „აპრილის დღეები“ და „ჩუმად!“.

ოთხი **მესამე პრემია** (50-50 მან.) მიენიჭათ ა. ჩხატარაიშვილს („ნაღვლიანი მზერა“), გ. ცაგარელს („უკვდავება“), ე. გიგილაშვილს („ბალერინას სადაგი დღეები“) და შ. აივაზოვს („მაესტრო“).

ფოტოკონკურსი-89

გიწვევთ, „კომუნისტის“ მორიგ, 1990 წლის ფოტოკონკურსზე. რედაქციაარ ზღუდავს კონკურსში მონაწილეობის მსურველებს თემის არჩევანში, მაგრამ მთავარი პირობა მაინც რჩება— ჩვენი თანამედროვის, გარდაქმნის აქტიური მონაწილის ცხოვრება და საქმიანობა! კონკურსზე შეგიძლიათ წარმოადგინოთ ჟანრული ფოტოსურათებიც, მშობლიური მხარის პეიზაჟებიც...

ფოტოსურათები უნდა გამოიგზავნოს შავ-თეთრი ანაბეჭდის სახით, არანაკლებ 18X24 სმ ზომისა, დაბეჭდილი პრიალა ქაღალდზე. თან უნდა დაერთოს ახსნა-განმარტებითი ტექსტი, მოგვწერეთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი. ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 30 დეკემბერი. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 150 მანეთი;

ორი მეორე პრემია — 100-100 მანეთი.

ორი მესამე პრემია — თითოეული 75-75 მანეთი

ჩვენი მისამართია: 380096, თბილისი, ლენინის ქ № 14. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

წიგნის თარო

სასარგებლო შრომის ნაყოფი

წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ცნობილი მეცნიერისა და მწერალი ელიზბარ ჯაველიძის ახალი წიგნი „უკეთუ სულითა...“, რომელიც გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა. მასში ავტორმა თავი მოუყარა ძირითადად ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილ წერილებს.

მკითხველი წიგნში გაეცნობა ავტორის შეხედულებებს თანამედროვე ქართული მწერლობის აქტუალურ საკითხებზე, მის ავსა და კარგზე, დასაძლევ სიძნელეებზე. ელიზბარ ჯაველიძე თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევათა გათვალისწინებით განიხილავს ილია ჭავჭავაძის, გიორგი ლეონიძის, ნოდარ დუმბაძის, გურამ გეგეშიძის, არჩილ სულკაურის, რეზო ჭეიშვილის და სხვათა შემოქმედებას. უკომპრომისოა ავტორი პოლემიკის დროს. მისი ეს ახალი წიგნიც საკითხისადმი ახლებური მიდგომით, სიღრმისეული ანალიზით გამოირჩევა.

ელიზბარ ჯაველიძის ეს ახალი წიგნი ქართული კრიტიკული ლიტერატურის კარგი შენაძენია. იგი იმისი ნიმუშეცაა, თუ, როგორ უნდა ხდებოდეს მხატვრული ნაწარმოების ანალიზი. ავტორი ყოველთვის მომზადებულ მკითხველს ითვალისწინებს, ეს ისეთი ბედნიერი შემთხვევაა, როცა მეცნიერულ ალღოსა და ნიჭს ერწყმის მწერლის ნიჭიერებაც.

გამომცემლობა „მერანმა“ ელიზბარ ჯაველიძის წიგნის გამოცემით კარგი საჩუქარი მოუმზადა ქართველ მკითხველს.

ელიზბარ ჯაველიძე ქართული ფილოლოგიური სამყაროსათვის (და არა მარტო ქართული), აგრეთვე, ცნობილია როგორც აღმოსავლური მწერლობის შესანიშნავი მკვლევარი და მთარგმნელი. მისი უმნიშვნელოვანესი მონოგრაფიების „თურქული ლიტერატურის სათავეებთან“ წიგნი I (ჯალალედინ რუმი) და წიგნი II (იუნუს ემრე) ბუნებრივ გაგრძელებად აღიქმება „თურქული პოეტიკა“, რომლის გამოსვლაც კრიტიკული წერილების კრებულს წინ უძღოდა.

ელიზბარ ჯაველიძისათვის, როგორც ორიენტალისტისათვის, საკვლევი ობიექტის შერჩევისას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჭეშმარიტად ღირებულ ლიტერატურულ მოვლენას, პრობლემურ ფილოსოფიურ საკითხს. მას ფართო ერუდიციის მეცნიერს, უნარი შესწევს კვლევის საგანი განიხილოს მთელ იმ მხატვრულ, ფილოსოფიურ და ესთეტიკურ კონტექსტში, რომელშიც ნაწარმოები იქმნებოდა.

„თურქული პოეტიკის“ ავტორი განიხილავს თითქმის მთელი ათი საუკუნის თურქული მწერლობის ნიმუშებს, ანასეთებს მის არა მარტო თურქული ლექსის ფერსიფიკაციის ეტაპობრივ განვითარებას, არამედ მსჯელობს პოეტიკის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა ყანრების სიუჟეტი, მეტაფორა და საერთოდ, სახისშეტყველების სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ელიზბარ ჯაველიძის ამ მეცნიერულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც. რადგან საქართველო მჭიდრო კონტაქტში იყო მუდამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან არა ხშირად პოლიტიკურად, არამედ კულტურული თვალსაზრისითაც.

ელიზბარ ჯაველიძის ამ ორი წიგნის გამოჩენა თითქმის ერთდროულად მიუთითებს იმაზე, რომ იგი ნაყოფიერ სასარგებლო შრომას ეწევა, როგორც სამეცნიერო, ისე სამწერლო ასპარეზზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ **ალჟირი. ალჟირის დედაქალაქში გაიმართა ლიბანის შეხვედრა სამთა კომიტეტის სხდომა ალჟირის, მაროკოს და საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.**

ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიდ აჰმედ გოზალიმ განაცხადა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა მოიწონეს სამუშაო დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილი იქნება ლიბანის შესახებ კომიტეტის წევრი სამი სახელმწიფოს მეთაურთა განსახილველად. დოკუმენტის შინაარსი ჯერჯერობით უცნობია.

◎ **აპირო. ისრაელის მთავრობა აპირებს მიმდინარე წელს მილიარდი შეკელი მოახმაროს ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ახალი დასახლებების მშენებლობას.** მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო გაერთიანებამ გულისწყრომით დაგმო ოდნდელი არაბული მიწების კოლონიზაცია, თელ-ავივი განაგრძობს ახალი გასამხედროებული დაბების მშენებლობას პალესტინელი გლეხებისაგან კონფისკებულ ნაკვეთებზე და აფართოებს უკვე არსებულ დაბებს.

კონტაქტები

არ ვიცი რამდენად სჭიროდა ოზურგეთის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივს მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივისა მაშინ, როცა უნგრელ კოლეგებთან კონტაქტებს ეშურებოდა. ფაქტია, დღეს ის გადაწყვეტილება რეალობადაა ქცეული — ჯერ უნგრელი რეჟისორი იანოშ შანდორი მოიწვიეს, რომელმაც ამ თეატრში თანამედროვე უნგრელი დრამატურგის აკოშ გერგეშის „დღეობა“ განახორციელა. ბოლოს შეთანხმდნენ შემოქმედებითი ურთიერთობა დაემყარებინათ ზალაეგერსეგის შანდორ ჰეგეშის სახელობის ეროვნული დრამის თეატრთან. თავდაპირველად, ამ გაზაფხულზე სწორედ უნგრელი კოლეგები უნდა სწვეოდნენ საქართველოს, მაგრამ ეს შეხვედრა გადაიდო. და აი, ამჯერად ოზურგეთის თეატრი ეწვია უნგრეთს. კოლექტივმა ბუდაპეშტს გარდა კიდევ ორ ქალაქში — ცელდომოლკსა და ზალაეგერსეგში გამართა სპექტაკლები.

ვიდრე უშუალოდ ხსენებულ გასტროლებზე მოგითხრობდეთ, ორიოდ სიტყვით ამ კონტაქტების სამომავლო გეგმებზე შევჩერდები. წელს, გაზაფხულზე საპასუხო ვიზიტით ზალაეგერსეგელები გვესტუმრებიან. გარდა ორმხრივი გასტროლებისა, ოზურგეთის თეატრის მთავარი რეჟისორი ვ. ჩიგოგიძე შანდორ ჰეგეშის სახელობის თეატრის სცენაზე ნ. დუმბაძის ერთ-ერთ ნაწარმოებს განახორციელებს. შემდეგ ოზურგეთელები შემოქმედებით ძალებსაც გაცვლიან და კიდევ: სწორედ თეატრების ამ ურთიერთთანამშრომლობამ წარმოშვა ' იდეა ოზურგეთისა და ზალაეგერსეგის მომავალი დაძმობილებისა. ამასთან დაკავშირებით თეატრს უნგრეთში თან ახლდა ოზურგეთის წარმომადგენელთა ოფიციალური დელეგაცია, რომლის წევრებმა ზალაეგერსეგის მერს შესთავაზეს კიდეც თავიანთი წინადადება. მოლაპარაკების თანახმად გადაწყდა, რომ ქალაქების დაძმობილების თაოსნობაზე ხელშეკრულება ოფიციალურად 1990 წლის გაზაფხულზე გაფორმდება, როცა უნგრელი მეგობრები ეწვევიან ოზურგეთს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზალაეგერსეგი ბალატონის მიმდებარე ზალას ოლქის ცენტრი გახლავთ. პატარა ქალაქია, მაგრამ ზედმოწევნით ელეგანტური ევროპული იერით, ორიგინალური არქიტექტურითა და დიზაინით. ქალაქის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად დაინტერესებულია ამ გარემოებით, ყველანაირად ხელს უწყობს განსაკუთრებულად თამამი არქიტექტურული იდეების ავტორთა მოზიდვასა და მათი პროექტების პრაქტიკულ რეალიზაციას. სწორედ ამითაა განპირობებული ქალაქის პლასტიკის ესოდენ არაორდინალური მანერაც.

უნგრეთში საგასტროლოდ ოზურგეთელებმა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკა და ილარიონის“ მიხედვით განხორციელებული „გამარჯობათ, ხალხო!“ შეარჩიეს. წარმოდგენამ (კომპოზიციის ავტორი კ. ნინიკაშვილი, დამდგმელი რეჟისორი ვ. ჩიგოგიძე, სცენოგრაფი ლ. მურუსიძე, ლოტბარი გ. გოლიაძე). რომელიც სამიოდ წლის წინ სახელდახელოდ შეიქმნა და თავისი განსაკუთრებული იღბლიანობით უკვე არაერთი ქუყა შესძინა თეატრს, უნგრელ მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა. სპექტაკლი, რომელშიც თითქმის მთელი დასია დაკავებული, მრავალმხრივ საგულისხმო აღმოჩნდა მათთვის! იუმორით, კოლორიტით, პერსონაჟებით, მოქმედებული სიკეთით, შესანიშნავი გურული სიმღერებით, ჟანრულ-ყოფითი ეპიზოდებით თუ „პანთეისტური“ ფასაყებით.

„გამარჯობათ, ხალხო!“ მასპინძლებმა სიმბოლურად მართლაც ოზურგეთელთა მისალმებად მიიღეს.

გთავაზობთ ფრაგმენტებს მაყურებელთა გამოხმაურებებიდან!

ვიქტორ პონასენკო, საბჭოთა საელჩოს კულტურის ატაშე უნგრეთის რესპუბლიკაში: „უკვეცამეტი წელია ბუდაპეშტში ჩვენი ქვეყნის კულტურის საფეროს წარმომადგენლებს „ვმასპინძლობ“. სასიამოვნოა, რომ თანდათან ფართოვდება და ღრმავდება კულტურული კონტაქტები ჩვენს ქვეყნებს შორის. როგორც იქნა დაძლიეთ ტრადიციული ინერცია. როცა უცხოეთში ჩვენი მიღწევების დემონსტრირებისას ორიენტაციას, როგორც წესი, მხოლოდ მსგავი კულტურული ცენტრების — დედაქალაქების შემოქმედებით ძალებზე ვიღებდით. მიხარია, რომ ამჯერად უნგრელ თეატრის მოყვარულებს საშუალება მიეცათ ოზურგეთელთა სახით საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარის — გურიის კოლორიტს გასცნობოდნენ. წარმოდგენამ თავისი გულწრფელობითა და იუმორით მართლაც სასიამოვნო მთაბეჭდილება მოახდინა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ამ აქციაში, ვფიქრობ, მაინც ისაა, რომ ოზურგეთის თეატრმა ყოველგვარი უწყებრივი ბარიერების გვერდის აქლით შესძლო პირდაპირი და უშუალო კონტაქტი დაემყარებინა საზღვარგარეთელ პარტნიორებთან. აი, კიდევ ერთი მაგალითი ორი ხალხის სიკეთო თანამშრომლობისა, კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა“.

დიულა ბარო, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საზოგადოების გენერალური მდივანი: „გულითადად მივესალმები ჩვენს ქართველ სტუმრებს, მადლობას მოვახსენებ ჩამობრძანებისათვის და ვულოცავ ბუდაპეშტში წარმატებით გამოსვლას. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ცალკეულ რესპუბლიკებში განვითარებულ დღემდე უჩვეულო მოვლენებს, რომელთაგანაც საქართველოს ამბები განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს. ეს ინტერესი კი მთლიანად იმ ოფიციალურ ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რომელზედაც ხელი მიგვიწვდება. ამიტომ, ამგვარ შეხვედრებს, ვფიქრობ, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. გარდა იმისა, რომ ერთმანეთის შემოქმედებით მიღწევებს ვიცნობით, ამავე დროს უშუალოდ ვგრძნობთ, რა გვიჭირს, რა გვალხინს. მოკლედ, უკეთ ვუგებთ ერთმანეთს, რაც ყველაზე მთავარი და ღირებულია ადამიანთა ურთიერთობაში.

ლაიოშ კოშტოფი, ზალაეგერსეგის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე: „მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. სპექტაკლმა მართლაც მომხიბლა თავისი სისადავითა და უბრალოებით, წრფელი პათოსითა და იუმორით. მივესალმები და ყოველმხრივ მხარს ვუჭერ ოზურგეთისა და ზალაეგერსეგის თეატრების თანამშრომლობას“...

იანოშ შანდორი, უნგრეთის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარი იასაის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი, ქ. სეგედის ეროვნული თეატრის მთავარი რეჟისორი: „თქვენს წარმოდგენას ქალაქ პეტჩის თეატრის მსახიობებთან ერთად ვუყურე და მათ დიდი მადლობა გადამიხადეს მეც, რადგან გარკვეული წვლილი მიმიძღვის ამ თეატრთან დამეგობრებაში. ამასთანავე, საყვედურიც გამოთქვეს იმის გამო, რომ პეტჩის თეატრის მთელ დასს არ მიეცა ამ სპექტაკლის ნახვის საშუალება... დღევანდელ სპექტაკლზე კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამაში, რომ ქართულ თეატრს საოცრად ეიოლება ის, რაც ესოდენ უჭირს ევროპულ თეატრს: დიდი მოვლენებს დამუშავების პროცესში შიგადაშიგ არ დაუსხლტეს ხელიდან სწორედ ის მთავარი და ძირითადი, ასე ბშირად, რომ [illegible] ებსშია — ანსა. „გამარჯობათ, ხალხო!“ ყოველივე ამას ''ტრტლა'' ფილად წარმოაჩენს და შეგვაგრძნობინებს“...

პიტერ ბოდორი: „უნგრელი მწერალი და დრამატურგი გახლავართ. დღესდღეობით რეჟისურაშიც ვცდი ძალებს. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ჩვენობის განზრახვა დღეს უკვე აღსრულდა და თანაც წარმატებით. უნგრელ მაყურებლებს შევთავაზეთ წარმოდგენა სადაც უბრალო, პროვინციული ამბავი კეთილი ადამიანებისა ესოდენ აკადემიურ ფორმაშია მოქცეული. ჩემი თანაქალაქელები, ვისაც აქამდე პირადი კონტაქტი არ ჰქონია საქართველოსთან და ქართველებთან, ერთად ფიქრობდნენ, წუხდნენ, იცინოდნენ, უხაროდათ და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ალბათ. მით უმეტეს ისეთი მცირერიცხოვანი ერებისათვის, როგორც ქართველები და უნგრელები ვართ“...

ბელა მერო, უნგრელი რეჟისორი: „ეს სპექტაკლი ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას ვნახე. მართალია, ყოველი წარმოდგენა, ყველა თეატრი ე. წ. „პიკ-ფორმაში“ მაინც მშობლიურ გარემოსა და ატმოსფეროში წარმოჩინდება, თავისი მისია ამ გასტროლებმა, ვფიქრობ, ბოლომდე შეასრულა.

მე დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს ჩვენს მაყურებელს, რა უშუალოდ აღიქვამდა იგი მისგან გეოგრაფიულად შორს მყოფი სხვა ხალხის თეატრალურ კულტურას. ვფიქრობ, ეს თქვენც — ჩვენმა ქართველმა მეგობრებმაც იგრძენით. იგრძენით, რომ სულიერი ნავმრების დამყარებისას გეოგრაფიული დისტანცია მნიშვნელობას ჰკარგავს. ალბათ იმიტომ, რომ ადამიანებს ყველგან ერთნაირად გვიყვარს სიცოცხლე, გვსურს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. კარგი განწყობილება და სიცილი“...

ივრე ჯალაუი, ზალაეგერსეგის შანდორ ჰეგეშის სახელობის ეროვნული დრამის თეატრის მთავარი რეჟისორი და დირიჟორი: „პირადად ჩემთვის „გამარჯობათ, ხალხო!“ ყველაზე მნიშვნელოვანია იმით, რომ მე ვნახე მატად სუფთა, უბრალო, გახსნილი სპექტაკლი. სპექტაკლი, რომელიც განსაკუთრებულ ეროვნულ თვისებებს წარმოაჩენს, ფოლკლორის განუმეორებელ სურნელსა და კოლორიტს შეგაგრძნობინებს. ეს კი ძალზე საინტერესოა ჩვენთვის.

როცა უცხოურ თეატრს ვიცნობი, პირველ ყოვლისა, ის მაინტერესებს ენობრივი, ტექსტიალური აღქმის მიღმა, კიდევ რაი მიტაცებს ესა თუ ის წარმოდგენა: თქვენს ნაშუშევარში ჩემთვის ყველაზე მთავარი სწორედ ის უშუალო და გულწრფელი ტონია — შესაძლოა ცოტა გულუბრყვილოც. მთლიანობაში წარმოდგენის პოეტური გადაწყვეტის რეზონანსს რომ ჰპოვებს. „გამარჯობათ, ხალხო!“ ნათელი მაგალითია იმისა, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელ ენაზე ლაპარაკობს. თეატრის ენა ყველასათვის გასაგები და მისაღებია. სხვათაშორის, აპრილის იმ საშინელ დღეებში საქართველოში გახლდით. პირადად შევეხებარი იმ ტრაგიკულ მოვლენებს და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ დღეს უკვე განსაკუთრებული სიმძაფრითა და აქცენტებითაც კი ეღერს ოზურგეთელთა მიერ წარმოდგენილი ადამიანური სიკეთით გამთბარი სპექტაკლი.

მარინე ბუზუკაშვილი.

„უკეთუ თქვენი თეატრისა გჯერათ...“

სპორტი

საბურნირო ორბიტა

ბადრაკი. კალინინგრადში დამთავრებულ გოგონათა საკავშირო პირველობაში ჩინებულად იასპარეზა საქართველოს ჩემპიონმა ნინო ხურციძემ: იგი აქ უძლიერესის წოდებას დაეუფლა გოგონათა და კადეტთა შეჯიბრებაში. ამასობაში კიდევ ერთი შეჯიბრება გაიმართა, რომელშიც ნონა გიფრინდაშვილმა მიიღო მონაწილეობა. მან ქალაქ ვუპერტში (გფრ) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 10 შესაძლებლიდან 8,5 ქულა დააგროვა და დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე პირველ ადგილს დაეუფლა.

თანამედროვე ხუთბრიდი. საქართველოს თასს დაეუფლა რვაგან ლოხოშვილი. ხუთდღიანი მარათონის შემდეგ ლოხოშვილმა 5893 ქულა დააგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნოდარ შამიანი — 5732 ქულა, მესამეზე — ბორის კაცებინი — 5514.

კალათბურთი. უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატს დღეისათვის ცსკა ლიდერობს. თბილისის დინამოელები ჯერჯერობით მეათე ადგილზე არიან.

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის პირველ წრეში თბილისელი ლეილა მესხი შეხვდა იტალიელ ლაურა გოლარსს და დამარცხა იგი ანგარიშით 6:4, 6:4. საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი შეხვედრები მოიგეს აგრეთვე ანდრია ჩერკასოვმა, ალექსანდრე ვოლკოვმა და ნატალია მედვედევამ.

ფეხბურთი. ლენინგრადში გრძელდება ვალენტინ გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა გუნდებს შორის. სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა და შეჯიბრებას ქულათა (6) მაქსიმუმით ლიდერობს. ჩინეთის ნაკრებს 4 ქულა აქვს, გფრ-ისა და გდრ-ის გუნდებს — 3-3, სსრ კავშირის მეორე კოლექტივს — 2 ქულა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, მაღალმთიანეთში ზვავსაშიშროება, დასავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 2 — პლუს 3, დღისით 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით მინუს 2 — პლუს 3 გრადუსი, მაღალმთიანეთში ღამით 5-10, დღისით 2-7 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან თოვლი, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 4 — პლუს 1, დღისით 1-6 გრადუსი სითბო, მთებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით მინუს 2 — პლუს 3 გრადუსი, მაღალმთიანეთში ღამით 6-11, დღისით 2-7 გრადუსი ყინვა.

თბილისში: ცვალებადი მოღრუბლულობა, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ღამით 0 — პლუს 2, დღისით 5-7 გრადუსი სითბო.

რედაქტორის მოადგილე
მ. უბრეხელიძე.

ტელევიზია—ხუთშაბათი, 18 იანვარი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.30 — მასწავლებლის საათი—საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 15.50—საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — ბბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.30 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გზაში“. 17.10 — ტელეკურსლეთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართ